ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 29 ოქტომბერი

ოქმი # 7

სხდომას. რომელიც ჩატარდა „ZOOM" - ში, ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 23.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი და შემფასებელი დარგობრივი კომიტეტების დამტკიცება

   მომხს: რ. ჯორბენაძე

2. ცვლილებები კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში

   მომხს: რ. ჯორბენაძე

3. „პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე

4. დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე

5. „გენდერის კვლევების" სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის განცხადების განხილვა

   მომხს: რ. ჯორბენაძე

6. ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამათა სილაბუსებში კოლოკვიუმთა რაოდენობის შესახებ

მომხს: რ. ჯორბენაძე

7. ცვლილება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში

მომხს: თ. დოლბაია

8. ფაკულტეტის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების შესახებ

მომხს: ა. გაბაშვილი

9. მიმდინარე საკითხები

მომხს: თ. დოლბაია, რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი და შემფასებელი დარგობრივი კომიტეტების შემადგენლობა დამსწრეთ გააცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი და შემფასებელი დარგობრივი კომიტეტების შემადგენლობა წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. რევაზ ჯორბენაძემ ისაუბრა ცვლილებების აუცილებლობის შესახებ კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში და ასოცირებული პროფესორების, მარინა ბურძენიძისა და ფიქრია ასანიშვილის ნაცვლად, კომისიის წევრებად შევიდნენ ასოცირებული პროფესორები დავით მაცაბერიძე და კახა ქეცბაია

მოისმინეს: 3. „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის შემადგენლობა ნაშრომადგინა დეკანის მოადგილემ საბუნებიერო დარგში თ. ბატარაძემ

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, ს. დუნდუამ, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის შემადგენლობა

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1) **ზვიად აბაშიძე** - პოლიტიკის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E-mail: zviad.abashidze@tsu.ge. **პუბლიკაცია:**

   a. Abashidze, Z. (2015) 'Ethnic fragmentation as challenge for post-socialist Georgia', ATHENAEUM. *Polish Political Science Studies. Vol. 48.*

2) **ირაკლი მანველიძე** - საჯარო მმართველობის დოქტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; E-mail: manvelidze.irakli@gmail.com. **პუბლიკაცია:**

   a. მანველიძე, ი. (2013) საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ევროპული განზომილება, თბილისი.

3) **ტანელ კერიკმაე** (Tanel Kerikmäe) – პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ტალინკის სამართლის სკოლის დირექტორი, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, ტალინის უნივერსიტეტი. E-mail: tanel.kerikmae@taltech.ee. **პუბლიკაცია:**

   a. Kerikmäe, T.; Troitino Ramiro, D.; Shumilo, O. (2019). An Idol or an Ideal? A Case Study of Estonian e-Governance: Public Perceptions, myths and misbeliefs. Acta Baltica Historiae et Philosophiae Scientiarum, 7 (1), 71–80.10.11590/abhps..

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1) **მალხაზ მაცაბერიძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი; E-mail: malkhaz.matsaberidze@tsu.ge. პუბლიკაცია:

   Matsaberidze, M (2014) *The Constitutional Metamorphosis of the Presidential Institution in the post-Soviet Georgia. In Two Decades of Development in Post-Soviet States: Successes and Failures*, Ed. by S. Musteață. Colecția Academica, 232, Iași, Institutul European, pp.57-63.

2) **სალომე დუნდუა** - პოლიტიკის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E-mail: salome.dundua@tsu.ge. **პუბლიკაცია:**

Dundua, S. (2014) "Language Politics and Education in Georgia (Comparing with Baltic States and Ukraine)", *Political Science Review*, Published by the Faculty of Political Science and Journalism of Adam Mickiewicz University in Poznan, Vol.3, pp.171-183

3) **კორნელი კაკაჩია** - პოლიტიკის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი; E-mail: korneli.kakachia@tsu.ge. **პუბლიკაცია:**

Kakachia, K (2017) "Informal Governance and electorate Perceptions In Hybrid reglmes: the 2016 Parllamentary electlons In Georgia", *The Journal of Post- Soviet Democratization*, Volume 25, Number 4 / Fall

4) **დავით მაცაბერიძე** - პოლიტიკის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E-mail: david.matsaberidze@tsu.ge. **პუბლიკაცია:**

მაცაბერიძე, დ,(2014) სამოქალაქო ნაციონალიზმის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს ეთნიკური პოლიტიკის ტრანსფორმაციაში, ECMI Working Paper #83, *უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრი* (ECMI), დეკემბერი, (ინგლისურ ენაზე). http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/ECMI_Working__Paper__83.pdf

5) ავთანდილ ტუკვაძე - **პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. E-mail: avtandil.tukvadze@tsu.ge. **პუბლიკაცია:**

ტუკვაძე, ა (2014) „სოციუმის თვითდამკვიდრება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში" იხ: საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი *"მეცნიერება და ცხოვრება"* თბ; (9);

6) **ნანა მაჭარაშვილი** - პოლიტიკის დოქტორი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA); პროფესორი; E-mail: nana.macharashvili@gipa.ge. **პუბლიკაცია:**

Tsuladze L, Macharashvili N & Pachulia. N. (2017). SOS Tbilisi: Challenges to Environmental Civic Participation in Georgia. In: *Problems of Post-Communism*. Volume 65, Number 5

7) **გიორგი მელიქიძე** - პოლიტიკის დოქტორი; პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასოცირებული მკვლევარი; თსუ მოწვეული ლექტორი; E-mail: Giorgi.melikidze@tsu.ge. ***პუბლიკაცია:***

Tetradze L, Melikidze G, Multi-Party System in Georgia: Peculiarities, Challenges and Perspectives, *Armenian Journal of Political Science* 1(4) 2016, 5-14

მოისმინეს: 4. დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები დასამტკიცებლად წარმოადგინა თ. მატარაძემ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, მ. შამილიშვილმა, ზ. აბაშიძემ, გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით:

პოლიტიკის მეცნიერება

1. კანდელაკი სალომე - "მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროცესზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია (I სემესტრი);
2. გულიაშვილი მარიამ - ,,მემარცხენე დისკურსი საქართველოში: ჰეგემონია, ძალაუფლება და დღის წესრიგის ათვისების შესაძლებლობები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (I სემესტრი);
3. რაზმაძე თამარ - „საარჩევნო მანიპულაციის გავლენა მოქალაქის ელექტორალურ გადაწყვეტილებაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (I სემესტრი);
4. ელისაშვილი სალომე - „არასამთავრობო სექტორი და მისი გავლენა საჯარო პოლიტიკაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (I სემესტრი);
5. ბეჟანიძე თეიმურაზ - „განვითარების პოლიტიკური დისკურსი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (I სემესტრი);
6. ლაფერიშვილი თეონა - „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და ფისკალური დეცენტრალიზაცია საქართველოში 2005 წლიდან დღემდე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (III სემესტრი);

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

1. ვარამაშვილი უჩა - „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) გავლენა ორგანიზაციის სოციალურ ქვესისტემაზე (ადამიანები, ჯგუფები, კლიმატი)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (III სემესტრი);
2. ბლიაძე ლანა - „ორგანიზაციის რეპუტაციის გავლენა თანამშრომლების მოტივაციაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (III სემესტრი);

საერთაშორისო ურთიერთობები

1. ჩიტალაძე ანა - "შავი ზღვის უსაფრთხოება: საფრთხეების რეგიონალიზაცია"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე თურმანიძე (III სემესტრი);
2. ქავთარაძე მამუკა - „პატარა სახელმწიფოების საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის განმაპირობებელი ფაქტორები (საქართველოს მაგალითი)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი (III სემესტრი);

სოციოლოგია

1. იაკოვენკო იმედა - „განათლების გავლენა საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური პროფილის ფორმირებაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (I სემესტრი);
2. პაპიაშვილი ანა - „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (I სემესტრი);
3. ჯიბუტი მარიამ -„ინტერპერსონალური დისტანცირების პატერნები ფიზიკურ და იმერსიულ ვირტუალურ გარემოში" ; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (I სემესტრი);
4. ლიპარტელიანი ბაქარ - „პროფესიული განათლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი (I სემესტრი);

5. დიასამიძე თამარ - „ქსელური საზოგადოების მოდელი და სოციალური შედეგები, საქართველოს მაგალითზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (IV სემესტრი);

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

1. გურგენიძე გიორგი - "კონფლიქტები კიბერსივრცეში და მათი გავლენა პოლიტიკურ სიტუაციაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე (I სემესტრი);

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. ჯიქია მარიამ - „საქართველოს საარჩევნო სისტემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიულ კონტექსტში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე (IV სემესტრი);
2. სიჭინავა ტატიანა - „შრომით მიგრანტთა სამოქალაქო ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე. ასოცირებული პროფესორი: თამარ დოლბაია (III სემესტრი);

კულტურის და მედიის სოციოლოგია

1. ფაჩულია ქეთევან - „გლამური - სიმბოლური კაპიტალის წყარო ქართველი ახალგაზრდებისთვის (თბილისის მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე (I სემესტრი);

სადისერტაციო თემის სათაურის შეცვლა

სოციოლოგია

1. ესებუა ნინო - ძველი სადისერტაციო თემის სათაური: „რურალური სივრციდან ურბანულ სივრცეში მიგრაციასთან დაკავშირებული სოციალიზაციის პრობლემები“;

ახალი სადისერტაციო თემის სათაური - „პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა და მისი სოციალური კონტექსტი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (III სემესტრი);

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

1. დათიაშვილი ეკა - ძველი სადისერტაციო თემის სათაური: „თანამშრომელთა მოტივაცია და სამედიცინო ორგანიზაციების ეფექტურობა საქართველოში“; ახალი სადისერტაციო თემის სათაური - „პიროვნული ზრდის ფაქტორი ადამიანის ბიოგრაფიაში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (III სემესტრი);

მოისმინეს: 5. „გენდერის კვლევების“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ მედეა ბადაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა დაუმთავრდა და აღარ შემოაქვს რეაკრედიტაციაზე, დამსწრეთ გააცნო რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. მატარაძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს მედეა ბადაშვილის განცხადება, ხოლო პროგრამის ერთადერთი დოქტორანტის, სხვა პროგრამაზე გადაყვანის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში ორიდან, ერთ კოლოკვიუმზე გადასვლის შესახებ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისაუბრა რ.ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. მატარაძემ, თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში ორიდან, ერთ კოლოკვიუმზე გადასვლის შესახებ, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაზაფხულის სემესტრიდან

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში წინასწარი დაცვის კომპონენტის შემოტანის აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში დასამატებელი მუხლი წინასწარი დაცვის პროცედურების შესახებ და ცვლილება დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ ისაუბრა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოადგილე ალექსანდრე გაბაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ვ. მელიქიძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია და გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა სამართლიანი მოთხოვნები, მათ შორის:

- სტუდენტს მიეცეს საშუალება სემინარის 2-ჯერ მაინც აღდგენის;
- ლექტორს არა აქვს უფლება სტუდენტის მიერ ლექცია-სემინარის რამდენჯერმე გაცდენის შემთხვევაში, მისი ჯგუფიდან ამორიცხვის

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრეს რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესზე:

- ამ პროცესისთვის საჭირო ყველა სახის დოკუმენტაციის დროულად შექმნისა და შეგროვების აუცილებლობის შესახებ;
- პროგრამების ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაცია, ფაკულტეტზე ჩატარებული კურიკულუმის მონიტორინგის მიერ გამოვლენილი, 3 წლის მანძილზე გაუაქტიურებელი საგნებისა და გააქტიურებული, მაგრამ სტუდენტთა მიერ არარჩეული საგნების პროგრამებიდან ამოღების შესახებ;
- სილაბუსების ლიტერატურის განახლებისა და შესასყიდი ლიტერატურის დროულად მოწოდების შესახებ და სხვ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

საბჭოს წევრები

1. თამარ დოლბაია
2. ამირან ბერძენიშვილი
3. მარი წერეთელი
4. ნინო პავლიაშვილი
5. გიორგი გოგსაძე
6. ნანული ტალახაძე
7. ელენე ბებერაშვილი
8. ნინო ჭალაგანიძე
9. სალომე დუნდუა
10. ზურაბ აბაშიძე
11. ვალერიან მელიქიძე
12. ალექსანდრე გაბაშვილი
13. რევაზ ჯორბენაძე
14. ზურაბ დავითაშვილი
15. ზვიად აბაშიძე
16. მალხაზ მაცაბერიძე
17. მარიამ ბერიანიძე
18. რატი ხითარიძე
19. თეონა მატარაძე
20. ნოდარ ბელქანია
21. მანანა შამილიშვილი
22. ალექსანდრე კუხიანიძე
23. შალვა ლაშხია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

საერთაშორისო ურთიერთობები

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **ზურაბ დავითაშვილი** - პროფესორი; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელ-ლი;
5. **თორნიკე თურმანიძე** - პროფესორი; დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელ-ლი;
6. **დავით მაცაბერიძე** - ასოცირებული პროფესორი; ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელ-ლი;
7. **ფიქრია ასანიშვილი** - ასოცირებული პროფესორი;
8. **ნიკოლოზ სამხარაძე** - ასოცირებული პროფესორი;
9. **სილვიუ ნატე** - ასოცირებული პროფესორი, უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, გლობალური კვლევების ცენტრის დირექტორი; საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებებისა და უსაფრთხოების კვლევების დეპარტამენტი, სიბიუს ლუციანბლაგას უნივერსიტეტი, რუმინეთი
10. **ელენე ამირხანიანი** - ბაკალავრიატის მე-7 სემესტრის სტუდენტი;
11. **დავით თოდუა** - კურსდამთავრებული, 1-ლი სემესტრის მაგისტრანტი, დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამა;
12. **რუსუდან ასათიანი**- მე-3 სემესტრის მაგისტრანტი, ევრაზიისა და კავკასიის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამა;
13. **კონსტანტინე შუბითიძე** - დოქტორანტი, თსუ-ის მოწვეული პერსონალი, საქართველოს პარლამენტი;

14. **მარიამ პაპოშვილი** - კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პროექტების კოორდინატორი;
15. **ნაია ბეგაშვილი** - კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი;
16. **მარიამ ბარამიძე** - დამსაქმებელი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი;
17. **მარიკა ვერულაშვილი** - დამსაქმებელი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
18. **ირინდა დახუნდარიძე** - დამსაქმებელი, საგარეო საქმეთა სამინისტრო;

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **გიორგი გოგსაძე** - პროფესორი; საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელ-ლი;
5. **იოსებ სალუქვაძე** - პროფესორი;
6. **ვაჟა ლორთქიფანიძე** - აკადემიკოსი, პროფესორი; დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ხელ-ლი;
7. **ვალერიან მელიქიძე** - ასოცირებული პროფესორი; თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
8. **ნინო პავლიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ხელ-ლი;
9. **რევაზ გაჩეჩილაძე** - აკადემიკოსი, პროფესორი;
10. **იოსებ ხელაშვილი** - პროფესორი, თსუ-ის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელ-ლი;
11. **ანა ფერაძე** - ბაკალავრიატის მე-7 სემესტრის სტუდენტი;
12. **ტატიანა სიჭინავა** - დოქტორანტი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა; საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი;
13. **მონიკა გაბელაია** - დოქტორანტი, დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამა; დემოგრაფიის და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრი;
14. **ნანა ბოლაშვილი** - გეოგრაფიის დოქტორი; დამსაქმებელი, თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი;

15. **დავით კერესელიძე** - დამსაქმებელი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

ინტერდისციპლინური მიმართულება

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** – თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **გუგული მაღრაძე** – პროფესორი; „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სამაგისტრო პროგრამის ხელ-ი
5. **ნოდარ ბელქანია** - პროფესორი; „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების“ სამაგისტრო პროგრამის ხელ-ი
6. **მარიკა გერსამია** - პროფესორი; „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციების“ სამაგისტრო პროგრამის ხელ-ი; სოციალური მეცნიერებების ხარისხის ექსპერტი
7. **მედეა ბადაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო პროგრამის ხელ-ი
8. **იოსებ სალუქვაძე** – პროფესორი; „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის ხელ-ი
9. **ანტონიო კასტელბრანკო** - პროფესორი; პორტუგალია - „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის ხელ-ი
10. **ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი; თსუ-ს მოწვეული პერსონალი
11. **მარეხ დევიძე** - დოქტორანტი, კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო პროგრამა
12. **ნინო ცქიფურიშვილი** – მესამე სემესტრის მაგისტრანტი (გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა); ქალთა ფონდი საქართველოში - პროექტის ასისტენტი
13. **თათია ქართლელიშვილი** - დოქტორანტი, ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამა
14. **ტარიელ (ტატო) ირემაძე** - კურსდამთავრებული (კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამა); საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
15. **ინა შანავა** - კურსდამთავრებული (კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა; PhD); საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ასისტენტ-პროფესორი
16. **ანნა კარდანახიშვილი** - კურსდამთავრებული (ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა); ორგანიზაციის განვითარების და ქოუჩინგის ასოციაცია
17. **ლია გიგაური** - შერიგების და რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე; დამსაქმებელი
18. **მამუკა სალუქვაძე** – არქიტექტურის აკად. დოქტორი; სითი ინსტიტუტი საქართველო, (თანა–) დირექტორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

პოლიტიკის მეცნიერება

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ნინო ქიმერიძე** – თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
4. **მალხაზ მაცაბერიძე** – პროფესორი; პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელ-ლი;
5. **ალექსანდრე კუხიანიძე** – პროფესორი; საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **სალომე დუნდუა** – ასოცირებული პროფესორი; საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. **თამარ ქარაია** – ასისტენტ-პროფესორი;
8. **ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი; თსუ-ს მოწვეული პერსონალი;
9. **ზურაბ აბაშიძე** - ასოცირებული პროფესორი;
10. **დაჩი ჩიტაია** - ბაკალავრიატის მე-5 სემესტრის სტუდენტი, თსუ-ის სენატის წევრი;
11. **ნიკა გიგაური** - მაგისტრატურის მე-3 სემესტრი სტუდენტი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი;
12. **ვლადიმერ ნაფეტვარიძე**- დოქტორანტი;
13. **სანდრო ტაბატაძე** - დოქტორანტი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი წპეციალისტი;
14. **ლაშა მელაძე** - დამსაქმებელი, ააიპ „სექტორი - 3“;
15. **შოთა ნარსია** - კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მკვლევარი.

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ;
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - ასოცირებული პროფესორი; კომიტეტის თავმჯდომარე, საბაკალავრო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის: „მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სენატის წევრი;
5. **მანანა შამილიშვილი** - პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და კოორდინატორი, სამაგისტრო პროგრამის: „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი;
6. **ხათუნა მაისაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; აკადემიური საბჭოს წევრი;
7. **ნათია კუპრაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; საბაკალავრო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის: „მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი;
8. **მაია ტორაძე** - ასოცირებული პროფესორი, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარი სპეციალისტი;
9. **ნანული (ნანა) ტალახაძე** - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამა: „მედია და ახალი ტექნოლოგიების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი;
10. **ხატია ვარდია** - მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“;
11. **თამთა ჩხაიძე** - დოქტორანტი, პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაცია“, საქართველოს პარლამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტემენტი, კომუნიკაციების სპეციალისტი;
12. **მარიამ მხითაროვა** - კურსდამთავრებული, სამაგისტრო პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“- დასაქმების პლატფორმა Findework.ge პროექტის მენეჯერი;
13. **თინათინ მაჭარაშვილი** - კურსდამთავრებული, სადოქტორო პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაცია“, სეუ ასისტენტ-პროფესორი, თსუ მოწვეული ლექტორი;
14. **ბადრი კობიაშვილი** - კურსდამთავრებული, სამაგისტრო პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“;
15. **ლია ტოკლიკიშვილი** - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერი; დამსაქმებელი
16. **ნინო ხელაძე** - ჟურნალისტი; კომპანია Talk TV განვითარების დირექტორი; დამსაქმებელი
17. **ეკატერინე ტალახაძე** - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს დილის გადაცემების პროდიუსერი; დამსაქმებელი

18. **მარიამ გოგოსაშვილი** - არასამთავრობო პროფესიული ორგანიზაცია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ თავმჯდომარე; დამსაქმებელი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

სოციოლოგია

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე -** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **იაგო კაჭკაჭიშვილი** - პროფესორი; მიმართულების ხელმძღვანელი
5. **ამირან ბერძენიშვილი** - ასოცირებული პროფესორი; კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
6. **ლია წულაძე** - ასოცირებული პროფესორი; კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
7. **ნინო დურგლიშვილი** - ასოცირებული პროფესორი
8. **ანა დიაკონიძე** - მოწვეული ლექტორი; დარგის სპეციალისტი
9. **თორნიკე ტაბატაძე** - ბაკალავრიატის მესამე კურსის სტუდენტი
10. **ბელა იმედაძე** - ბაკალავრიატის მესამე კურსის სტუდენტი
11. **შალვა მახარაძე** - მეორე კურსის მაგისტრანტი
12. **მიხეილ ოსიშვილი** - მეორე კურსის მაგისტრანტი
13. **თამარ მეჭურჭლიშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; ქართულ-ამერიკული აკადემია, გაუ
14. **ლელა ჯავახიშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; CSS, უმცროსი მკვლევარი
15. **თეკლა ჯამრულიძე -** BA, MA კურსდამთავრებული; კავსაკიის უნივერსიტეტი
16. **გიორგი შუბითიძე** - დოქტორანტი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი
17. **კობა თურმანიძე** - CRRC კავკასიის კვლევით რესურსების ცენტრი, დირექტორი; დამსაქმებელი
18. **რუსუდან თელია** - ACT Georgia, დირექტორი; დამსაქმებელი
19. **მერაბ ფაჩულია** - GORBI, დირექტორი; დამსაქმებელი
20. **პაატა შავიშვილი** - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორის მოადგილე; დამსაქმებელი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტები მიმართულებების მიხედვით

სოციალური მუშაობა

1. **თამარ დოლბაია** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **იაგო კაჭკაჭიშვილი** - პროფესორი; მიმართულების ხელღვანელი
5. **სალომე ნამიჭეიშვილი** - ასოცირებული პროფესორი; სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
6. **ნინო შატბერაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
7. **თამარ მახარაძე** - ასოცირებული პროფესორი
8. **მარიამ ნაცარიშვილი** - BA სტუდენტი, III სემესტრელი
9. **თამარ მოთიაშვილი** - BA სტუდენტი, III სემესტრელი
10. **სალომე აბულაშვილი** - MA სტუდენტი II კურსელი (BA კურსდამთავრებული)
11. **ირმა ბებერაშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური მუშაკი;
12. **თამარ საუთიევა** - MA კურსდამთავრებული; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სოციალური მუშაკი
13. **ნელი აკობია** - მაგისტრი; მოწვეული ლექტორი;
14. **ია შეყრილაძე** - დოქტორი; მოწვეული ლექტორი; დარგის სპეციალისტი
15. **ქეთი გიგინეიშვილი** - სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი, დოქტორანტი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი
16. **ელენე მარტაშვილი,** სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი, სოციალური მუშაობის ბაკალავრი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი
17. **მარინა შაღაშვილი,** ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის ხელმღვანელი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი
18. **ქეთი მელიქაძე** - ბავშვთა დაცვის პროგრამის ოფიცერი, გაეროს ბავშვთა ფონდი; მხარდამჭერი

დანართი #2

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვის ინსტრუქცია

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვის მიზანი:

წინასწარი დაცვა არის დისერტაციის დაცვის პროცედურის ნაწილი და სავალდებულოა ყველა დოქტორანტისთვის. წინასწარი დაცვა ტარდება მიმართულების სხდომაზე.

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვის მიზანია სადისერტაციო ნაშრომის განხილვა და შეფასება.

წინასწარი დაცვისთვის სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

წინასწარი დაცვისთვის დოქტორანტი წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის თანხმობა და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD). ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), გაფორმებული მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად (https://old.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d5.pdf).

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვის ორგანიზებას ახორციელებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, რომელიც ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში შეამოწმებს ნაშრომის ორიგინალურობას (Turnitin-ის პროგრამის გამოყენებით) და გაფორმების სტანდარტებთან შესაბამისობას. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური აძლევს რეკომენდაციას მიმართულებას შესაბამისი რეაგირებისთვის. ნაშრომის გაფორმების წესის დარღვევის შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი თვის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

გადამუშავებული ნაშრომი დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში ხალახლა უნდა შემოიტანოს,

პლაგიატის არარსებობის შემთხვევაში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური შესაბამისი მიმართულების აკადემიურ პერსონალს გაუგზავნის სადისერტაციო ნაშრომს. მიმართულების პროფესორებისთვის ნაშრომის გადაგზავნიდან 2 კვირაში დაინიშნება წინასწარი დაცვის თარიღი.

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა

დისერტაციის წინასწარი დაცვა არის დახურული, რომელსაც ესწრებიან მიმართულების პროფესორები, დარგის სპეციალისტები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დოქტორანტი და ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

დისერტაციის წინასწარი დაცვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (30-40 წუთი);

ბ) სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დისკუსია;

გ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასება (შეფასების პროცესს არ ესწრებიან დოქტორანტი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი);

დ) სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის შეფასების გამოცხადება.

დისერტაციის წინასწარი დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენელი. წინასწარი დაცვის ოქმი, წარმოდგენილ სადოქტორო დისერტაციის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

წინასწარი დაცვის პროცესში დისერტაციის განხილვისას უნდა შეფასდეს:

- სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
- ნაშრომში განხილული თეორიული ჩარჩოს მიმართება დარგში არსებულ ცოდნასთან;
- კვლევის დიზაინი;
- ნაშრომის კვლევითი კომპონენტი და მისი შესაბამისობა თეორიულ ჩარჩოსთან.

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის შეფასების ფორმებია:

ა) ნაშრომი მზად არის დასაცავად;

ბ) ნაშრომში არის მცირედი ხარვეზები, რომელიც დოქტორანტმა უნდა გამოასწოროს და წინასწარი დაცვის გარეშე წარადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე;

გ) სადისერტაციო ნაშრომში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები და საჭიროებს გადამუშავებას. ამ შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა არანაკლებ 3 თვისა ნაშრომის გასაუმჯობესებლად. ნაშრომის გაუმჯობესების შემდეგ დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს წინასწარი დაცვის პროცედურა.